

ცისკარი

1862

ო კ ტ ო მ ბ ე რ ი.

წელიწადი შავქუსე.

წოდება თსსულებათა:

- I. — მამისაგან შჯლის დარიგება. . . თ. გ. ერის-თავისა.
- II. — საქართველო ათასის წლის შემდგომ.
(კომედიის სოფლოგუბისა. ნათ) . . . ანტ. ფურცელაძისა.
- III. — ლექსები სხუა და სხუა მწერლებისა.
- IV. — გიორგის XIII ძეგობა. . . თეიმურაზ ბატონისაშჯლისა.
- V. — საღაუბოს ფურცელი. . . მღალაყბისა.
- VI. — სხუა და სხუა ანბავი. (იხილე მეორე გვერდზედ.)

ჯფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

განცხადება.

მოძავალს **1865** წელსა ჩუწნი ქართული სიტუჯერებითი ჟურნალი «ცისკარი» გადადგება მეძდეს წლოვანებაში; ამ შვიდის წლის განმავლობაში, როგორის შეჭირვებით გამოდიოდა ეს მამულის-ერთა ჟურნალი, იციან მხოლოდ რედაქციის დაახლოებულთ თანამშრომელთა, მაშასადამე თუ რამე ნაკლულევანება მოჭხდევდა ამ საქმეს, იმისი მიზეზი საკუთრად რედაქციას არ უნდა მიეწერებოდეს, რადგანც ეს რედაქცია ერთგულად ცდილობს ჟურნალის წარმატებებასა ეოვლის ღონისძიებით, და ამ ექუსის წლის განმავლობაში არ მოუკლია შეცადინეობა და რაც ღონე ჭქონია არ

დაუზოგავს თავისი შრომა. მოძავალის წლისათვის ვიმედოვნებთ, რომ კიდევ უფრო უკეთ და განვრცელებით გამოვსცეთ, რასაკვრველია თუ რომ დაგვესმარება ქართველთ საზოგადოება, რომელთსედაც სრული იმედი აქვს რედაქციას დამყარებული. უამ იმედოთ ვერც ერთს რედაქციას ვერ შეუძლიან მრთელ სმელეთსედ ამისთანა საქმის წარმოება. ჟურნალი არის საზოგადო შრომა და საზოგადოს სწავლისა და წარმატების დროშა, მაშასადამე თვთოეული, ვისაც უევარს თავისი მამული და ენა, უნდა აჩვენებდეს ამ საკანს შეწევნასა შეძლებისამებრ. გარდა ამისა, ამით ურყო ვიმედოვნებთ, რომ ვინცკი გვეგულება გამოჩენილი მწერალი ქართულს ენასედ არიან «ცისკრის» შემწენი, აღუთქვეს კიდევ თავიანთის შრომის არ მოკლება და ეოველთს დიდი შემწეობა თავიანთის მწერლობით. ამ ქართველთ მწერლობის რჩე-

ვით და იმათთან მოღაპარაკებით, მოძა-
ვალს წელიწადს ჟურნალი გაიყოფება
ექვს ნაწილად; რადგანც ეოველი საზო-
გადო და კერძობითი საგანი, უმეტესად
ქართველთ ძველის ჩუჭულებით, დაიწყო
საღმრთო სიტყუთ და ამასთანავე, რადგანც
რედაქციას ეგულებს ამ საგანში დაკელო-
ვნებული და დიდად კეთილის მოსურნე
ჩუჭნი, ეოვლად უსამღჟდოელოესი ქუთაი-
სის ეპისკოპოსი გაბრიელ, ამისათვის ჰირ-
ველს ნაწილში იქნება ეოველი მწერლობა
რაცეი რამ შეესება საღმრთო საგანსა, ამ
ნაწილის მმართველი იქნება თუთ რედაქ-
ტორი, ი. კერესელიძე; მეორეს ნაწილში
იქნება უცხო ქუჭუნის, ანუ საკუთარი
ჩუჭნი ქართული სიტყუერება, რომლის
მმართველი იქნება ლავ. არდაზიანი; მესა-
მეში წვრილი, დირსად მიღებული ლექსე-
ბი, ამ ნაწილის მმართველი თ. ვრ. ო-
რბელიანი; მეოთხეში ჰსწავლა და კელო

უნება, რომელშიაც შემოვიტანთ ისტორიულს, სამეცნიეროს, საფილოლოგიოს და სს. რომლის მმართველი იქნება დიმიტრი ბაქრაძე; მეოთხეში იქნება საქართველოს ანბავი რამ, გარკვევა ახლად გამოცემულის წიგნებისა, კინა თხზულებისა, და მეექვსედ სსჟა და სსჟა ანბავი, ამისი მმართველი იქნება ნიკ. ბერძენი. როგორც შემოთავსოქვით, თვითოეულს ნაწილზედ აღგვითქვეს მომავალს წელიწადს შრომის მიღება და დასმარება. ამათ გარდა, ჰატივ საცემთ «ცისკრის» თანამშრომელთ, რომელთაც აღგვითქვეს, თუმცა იცნობენ მკითხველნი, მაგრამ მაინც რედაქცია საჭიროდ რაცნს განამეოროს ამათი სახელები: თ. გ. ბარათოვი, დ. ბერიევი, გაბრიელ ეპისკოპოზი, გ. დიდებულიძე, თ. გიორ. ერის-თავი (გენერალ ოტინჩანტერი) რომლის თხზულება იქნება დაბეჭდილი ოკტომბრის ცისკრის ნუმერში, თ. რაფ. ერის-თავი, ჰლ. იოსე-

ლიანი, თ. ალ. ორბელიანი, გრ. რჩეუ-
ლოვი, ან. ფურცელაძე, დიმ. ეიფიანი.
ი. აკ. წერეთელი, მის. ჩიგანი, კნ. ბარ-
ბარე ჯორჯაძისა, და ჩუწნ მკითხველთა-
დმი უწიებულნი ფსევდონიმები, სასელდობ:
მოლაუბე, თორმეტნი მებუკენი დასს. ამ
«ცისკართან» გამოვა დამატებასავით ქარ-
თული მამულის მოვლის გაზეთი «გუთნის
დედა» რომელშიაც იბეჭდება გამოცდილის
აგრონომების მამულის მოვლის თსუულე-
ბაები. «ცისკარი» გამოვა თვეში ერთ წიგ-
ნად ექუსი დიდის ტანის თაბახიდგან ათ
თაბახაძინ, რომლის ფასი არის წელი-
წადში ექუსი მანეთი, ხოლო შინ ანუ
სსჭა ადგილებში გაგზავნით მუდრი მანეთი.
დამატების, ესე იგი «გუთნის-დედის» ფასი
არის ვინც «ცისკარზედ» კელს აწერს
ერთი მანეთი, ვინც არ აწერს და დამა-
ტებას ცალკე მოიწერს, ორი მანეთი, გა-
გზავნით. ვინაც სურდეს დაბარება «ცის-

კრისა» თუ «გუთნის-ღედისა» უნდა აცნობებდენ რედაქციას, კუკიაში, საკუთარს კერესელიძის სახლებში და ფასსაც თან უნდა გამოგზავნიდენ.

რედაქტორი და გამომცემი ი. კერესელიძე.

ღენერალ ოტინფანტერს თ. გიორგო-
ერის-თავს თავისი ძული საქარია ჭკით-
სავს: მამაო რით უნდა მოიგოს ამ სო-
ფელს ბედნიერება, რომ საუკუნოთ დიდე-
ბაც იმისთვის მზათ იუოს?

შევეწიე მე სულა ეოვლად წმინდაო!

1) კეთილ მოქმედება, სიმშვე, სიწყნარე, სიწმინდე,
ღმთის მოყვარება და კაცთ მოყვარება, ამ სოფელსაც
ბედნიერი იქმნება და საქებარი, და იმ სოფელსაც საუ-
კუნო მზათ ექმნება.

2) სწავლა, თუ კეთილ-მოქმედება შეერთებული აქვს
ამ სოფელსაც ბედნიერი იქმნება, და იმ სოფელშიაც
კეთილი ცხოვრება ექმნება და თუ კეთილი მოქმედება
არა აქვს შეერთებული სწავლასა, ის იქმნება ბოროტ
მოქმედი არიოზ, და ივლიანე განდგომილი, ამ სოფე-

ლსაც შერცხვენილი იქმნება და იმ სოფელსაც.

5) სიმდიდრე, უკვე იქმნება ღუთის მოყვარე, ძმათ მოყვარე, ღარიბთა და დავრდომილთ მოწყალე, ქვრივთა და ობოლთ შემწვანარებელ, შეწუხებულთ შემწე, და გეოილათ ყოფა მტკეველს. ამ სოფელსაც საქებელია, და იმ სოფელსაც სასუფეველში იქმნება.

4) მშუტნიერება, მრავალი მდაბალი კაცის ქალი იმპერატრიცათ შექმნილა, და კაცსაც მშუტნიერებისგამო ბედნიერება მოუბოკებია. სიმშუტნიერესა, თუ რომ გეოილი ყოფაქცევა შეერთებული აქუს, ამ სოფელშიაც ბედნიერია, და იმ სოფელსაც სასუფეველი მზათ აქუს, თუ რომ ეს გეოილი ყოფაქცევა არ ექმნება წლამდისინ იმისი ბედნიერება დასრულდება, ამ სოფელსაც შერცხვენილი იქმნება, და იმ სოფელსაც სასუფეველს ვერ იხილავს.

5) თუ კაცს გეოილი ქცევა აქუს, თუნდა მდიდარი არ იყოს, ანუ მსწავლული არ იყოს. და არც მშუტნიერი იყოს, მაშინ ამ სოფელშიაც საქებული არის, და იმ სოფელშიაც განსვენებით.

—მამაო! ეგ რაღა ჰსთქვი ჭეშმარიტია, და გთხუვ რომ ესეც მიბძანოთ. ნატურალისტები იტყვიან რომ ღმერთის ნატურაო.

—აი უჯლო, თუ ნატურა დაუსაბამოა, დაუსრულებელია, და მიუწდომელია, მზისა. მთვარისა, ვარსკვლავისა. ცისა და ქუჩისისა შემომქმედი და შირველი მიზეზი და წესის მიმცემია. ჩუტნეც კვრეთვე ვადჯარებთ ღმერთსა, ისინი უწოდებენ ნატურასა ღმერთსა, რუსები ბოდს,

უწოდებენ, ბერძნები თუოზს უწოდებენ, თათრები ალლასს
 და ქართველები ღმერთსა, რადგანაც დასახამი აქჲს ნა-
 ტურასა ანუ დასასრული, მაშასადამე ღმერთ გამოვისახავთ
 აი შჯლო, მრავალ არიან ნატურანი, კაცთ ნატურა სხუა
 არის, მზისა, მთოვარისა და ვარსკვლავთ ნატურა სხუა
 არის, ნატურა ანუ ბუნება ზღვსა სხუა არის, და
 რაოდენიცა ცხოველნი არიან ზღუასა შინა, სხუა და სხუა
 ნატურა აქჲსთ, პირუტყვთაც სხუა და სხუა ნატურა
 აქჲსთ, ჭკე მძრომთაც მრავალთ სხუა და სხუა ნატურა
 აქჲსთ, ეს ნატურანი ერთმანერთის წინააღმდეგნი არიან
 და მტერნი, ვითარცა გველი მტერია კაცისა, და კაცი
 გველისა, ეგრეთვე მფრინველნი ერთმანერთის მტერნი
 არიან და შემჭყელნი, აი ცეცხლი თუ მეტია წყალზედა
 აღტბავს დააშრობს, და თუ წყალი მეტია ცეცხლზედა
 გააქრობს, მაშა სადამე ღმერთებს შორის ბრძოლა,
 ყოფილსა, და მრავალ ღმერთობა შემოვა, ღმერთი ერთი
 უნდა იყოს დაუსახამო და პირველი მიზეზი ყოველისა,
 ოთხი ნივთის მიზეზი ყოველის სხეულისა, ცეცხლი, წყა-
 ლი, ჭაერი და მიწა, მაგრამ ამათ დასახამში აქჲსთ და
 საზღუადი, მაშა სადამე სხუა არის ამათი მიზეზი, და-
 უსახამო, დაუსრულებელი, და მიუწოდომელი, ვითარცა
 იტყოდნენ და ილოცავდნენ ჰლატონ და არის-
 ტოტელნი, პირველნი ფილასოფოსნი, მიზეზო მიზეზ-
 თაო შემიწყალენ მე! შჯლო ღმერთზედ ღაწარაკი არ
 არის რიგი, ამისთვის რომ რადგან დაუსახამოა, დაუსრუ-
 ლებელი და მიუწოდომელი, მხოლოდ ვიცით რომ არის,
 და ისეი არ ვიცით რა არის და კერც მივხედებით, აი

დავით წინასწარმეტყველი რასა ჰსწერს «მე ვსთქვ განკარგებასა ჩემსა, რამეთუ ყოველი კაცი ცნო არს» ვინც ღმერთსეუდ დაიწყებს ღაპარაკსა, ვერ მიჰხედება. განცრუვდება.

აი ერთს მაგალითს გეტყვი შჯლო, ზღვს ზირსეუდ ერთი სსსსსლე იყო აშენებულა, იმ სსსსსლეში თილლ-სოფოსნი შემოჰკრბენ, და დაიწყეს ღმერთსეუდ ჰსჯა და ღაპარაკი, ერთი თილლ-სოფოსნი ქვევით იჯდა, და ხმას არ იღებდა, ჰკითხეს შენ რატომ არს იტყვიო? იმან უთხრა თქვენ ღაპარაკობთო რომ დაუსაბამო, დაუსრულებელი და მიუწდომელი არისო, მე რაღა უნდა ვსთქვა, ჩემი გონება ვერ მისწვდებაო. გააგრძელეს ღაპარაკი და იმ ღამეს იქ დაჩხენ. ეს თილლ-სოფოსნი დილასეუდ ადრინან ადგა, აილა ერთი დიდი ღრმა კოკსი, ჩავიდა ამ ზღვს ზირსეუდა, ჩაქეფეს ღელაში კოკსსა, და ამოიღეს წყალსა, და გადმოსსამს ნაპირსეუდა, და იძახის: ეს ერთი: ეს ორი, ჩავიდნენ თილლ-სოფოსნი და ჰკითხეს რასა იქო? რას მოქმედებო,, იმან უთხრა ზღვა მიწა ავსწოლო, ამათ უთხრეს ხომ გიყს დაგიძახებენო, იმან მიუგო ზასუხად, მე ამ ზღვსა სიღრმეც ვიცი სიგანეცაო, და ამ წყლის ბუნებაცა, თუკი მე ამისი აწყა არ შემოიძლიან, თქვენ დაუსაბამოსა და მიუწდომელსეუდ ღაპარაკობთ თქვენ უფრო გიყს არ დაგიძახებენო, შეცხვით და ზასუხი ვერ მიუგეს.

შჯლო, თუთ ჰხედავ რომ ამაში შემცდარნი არიან მეცნიერნი, თუ რომ მეცნიერი არ შეცდება, უგუნური და უცნობო მარადის შემცდარია, შჯლო, ღმერთსა შო-

რის ანსება და ბუნება, და რომელიცა ანს ნატურა ერ-
თია, ჩუქნი ვართ ანსნი, და სხეული ჩუქნი თიხისა
მიერ შექმნილი, და სხეული ჩუქნი მიწადეკ მიიქცევა,
ღმერთი ანს ანსება ყოვლად, სრულა, არა ყოვლად
უსრულესი, როგორც ღმერთი ანის დაუსრულებელი,
ეგრეთვე ეს ლექსი არა უანსებესი. თუ დავაყენებთ მაშინ
ღმერთს სანდუარი მიეცემა. ღმერთი ანის განუსაზღვ-
რებელი, დაუსრულებელი და მიუწდომელი. შჯლო, რადგან
რომ ღმერთი განუსომელი მოწყალეა, ათასს კაცს რომ
ერთს დღეს უელი გამოსჭრა უნდა მოგიტოვოს, მაგრამ
იმიხი განუსომელი სანდურთადა წინა აღუდგება ამ მო-
წყალეებსა. მანამ კაცა ცოცხალა, თუ ამ სიცოცხლე-
ში თავისს ცოდვას მოიკვეთს რაც ჩუქნულებათა აქუს,
მაშინ სანდურთადა ველა დაჭსჯის, აი შჯლო, შენ ნაყ-
როვანი არა ხარ და შემთვრალე, კეთილი, თუ რომ ნა-
ყროვანი ხარ და შემთვრალე, და მოიკვეთ, შენთვის ბრძ-
ლისიტის გვრგვინა, ამისთვის, ძე ღმერთისა რომ იშუა,
და ჯუბარსა დაემჭუნადა, ცოდვილთათვის და არა მართალ-
თათვის, მაშინადამე განუსომელი სიყვარული და მოწყა-
ლება სასუფეველსა შინა დაგამკვდრებს.

მამა! მე ყოველივე მოვიმინე და ვსტან, მე გთხოვ
რომ ესეც მასწავო, როგორ უნდა ვანობო, ვინც ვერ
იცნობს ყოვლისა შემძლებელსა ღმერთსა.

შჯლო! ბრძნული ლექსია, აგენიტონ და გენიტონ, აგე-
ნიტონ არის პირველი შექმნილი. გენიტონ თესლისაგან
გამოსული, აი გეტევა, შენ ხარ ჩემი შჯლი, მე ვარ
მამა შენი, მამა ჩემი ეკსევი, ჰახის ჰახამდინ მიწეუები და

მიხვალ, დამ იყო იოანე, ანუ თეოდორე, ის იყო შექმნილი, და არა თესლისაგან გამოსული, ახლა მიჭხედე ხარისა და ძროხისა, ის შირველი ხარისა და ძროხა შექმნილია და არა თესლისაგან გამოსული, ძროხისაგან, დაიბადება ხბო, მიუხედოთ ახლა ფრინველთა, მამალი და დედალი, ისინი არიან შექმნილნი, და არა თესლისაგან გამოსულნი, იმათგან კვერცხი გამოვა, კვერცხისაგან წიწილა, ახლა მიჭხედე ბალახსა ნესესა და სისამთროს, ისინი შექმნილნი არიან, და არა თესლისაგან გამოსულნი, იმათის თესლისაგან სხუა გაირდება, ესენი არიან შექმნილნი ზირველის მიზეზისა და ღუთისაგან, მიჭხედე მზესა, მთავარესა, ვარსკვლავთა ზღუესა, ქვეყანასა, როგორც კეთილი განკარგულება არის, რამცა დაუბადებია ღმერთისა ყოველივე საკურთხელებსა, მაგრამ ხშირად რომ გინახამს აღარ გვიკვირს, მაგალითს გეტყვი, ერთი კვერცხი რომ დაგანახო და არ გენახოს, რომ ვითხრამ კვერცხი დამ სავსე კვირავედ გამოვიყვან სულიერსა რომ ფრთები ქქონდეს, ნისკარტი ქქონდეს, ფეხები ქქონდეს და დაივიწყებს, რომ არ გინახამს იტყვი: აი მამა ჩემი შემტლად რას ანობსო, აი კიდევ დაგანახებ ერთს მსხლის გურკასა, გეტყვი: შჯლო! ამას მიწაში ჩავაგდებ, ამოვა ხე, მოისხამს მრავალს მსხვლს ხილსა რომ შესჭამ გიამება, რომ არ გენახოს იტყვი მამა ჩემი შესტლად, და რადგანც მრავალჯერ გინახამს აღარ გვიკვირს, და აღარც მამის შემტლამს იტყვი,

შჯღო ვინც იტყვს რომ ეს სოფელი ცუდია, უგუნურობა ანის და გმობა, ამისთვისა რომ, წაღცა ჭქმნა ღმერთმან უოკელივე კეთილ ანს, აი ერთს მაგალითს გეტყვი: ერთი მშუწნიერი სასახლე რომ იუოს ოქროს ვარაუითა და ლავკარდით დახატული, და მშუწნივრათ მართული, უოკლის სენსელებით სავსე. და იმ სახლში შემოვიდნენ გასვრილნი და არა წმინდებით სავსე ხალხნი, მაშასადამე ის სახლი აეროლდება. შვიდი მამაკვდინებელი ცოდვას, ამბარტანება, მრისხანება, კაცის კვლას, მრუშება, შური და სხუანი, ამისთვის უწოდებენ რომ სოფელი ცუდიაო, ჩუწნა კართ მიხეხი სიცუდისა და არა სოფელი, ვისაც ელაზარაკები შჯღო, თუ შენი მოუბარობა შეისმინოს კეთილი, და თუ არ შეისმენს, უგუნურნი და უცნობნო ერთბამათ წარსწმდნენ.

მამაო! ეტყა ვსტან, გთხოვ რომ მიბძანოთ მეორეთ მოსვლისათვის.

შჯღო, ჩუწნი საწმუნოება, საღმრთო წერილი, ვითარცა საუვირი სტემს. და წარმართნიც იტყვიან, თაა. რნი, რომ მეორეთ მოსვლას იქმნებოა, მაგრამ რომელთაც არა სწამთ იმათ რეგორ უნდა შეკავონოთ და დაუმტკიცოთ. აი შჯღო ასე. ქკეყანასუედ არა არს ხალხნი რომ ღმერთს თაყვანს არა ჭსტემდეს, თუმცა კერბთ თაყვანსა სტემენ ველური ხალხი, მაგრამ ისინიც ღუთად აღჯარებენ, გონებაში გამოხატული აქუსთ რომ ერთი ვინმე უნდა იუოს, ცისა და ქუწყნის შემოქმედი, და ღმერთი ვითარი უნდა იუოს, უოკლისა შემძლებელი,

უკვლად ზოწკაღე, განუზომელისა სიევარულისა შქონე-
 ბელი, წინასწარ მცნობელი, და მესხიერების შქონებელი
 აი ამ ლექსს თუ შეკვებით, რადესსა იყო ღმერთი,
 მაშინ გამოსატული ვიყავით დაუსაბამოთ, რომ შენ
 ჩემი შვილი იყავ, და მე შენი მამა, მესხიერებასა შინა
 დაუვიწყარი. დაუსრულეებლად ვიქნებით, შენი სიევარუ-
 ლი და ჩემი სიევარული ერთი ცვარი არის, რომ შევა-
 სწოროთ ღმერთს სიევარულთან, იმისი სიევარული რკი-
 ანეს ზღუას, და ჩქნნი ერთი ცვარია, შჯლო შენ რომ
 შეგემდოს აღმადგენ თუ არა? ანუ მე რომ შემემდოს
 აღმადგენ თუ არა? ამაში იჭვი აღარ არის, აღმადგენ
 და აღმადგენ, თუ არა, და რადგან დაუსაბამოდ გამოსა-
 ტული ვართ, და დაუსრულეებლად მესხიერებასა შინა
 დაუვიწყარნი, და იმისი სიევარული ზღუა არის, მაშას-
 დამე მამიევანს და აღმადგენს, მაგრამ შჯლო, სიკუდი-
 ლი რა გვარია, პირველი სიკუდილი არის რომ ჩქნნი
 ხორცი და სხეული მიწადვე მიიქცევა, მეორე სიკუდილი
 არის რომ, როდესაც აღგვადგენს მაშინ კეთილის მომ-
 ქმედნი განსკენებასა მიეცემიან, ხოლო ბოროტის მომ-
 ქმედნი საუკუნოს ტანჯუას და სიკუდილს მიეცემიან,
 შჯლო ერთდუ ცოდვასა, და თუ რომ კეთილის მომქმე-
 დი იქნები ღმერთი მივარველი იქნება, ცოდვა რა
 გვარია, პირველი რომ. რაც სიყრმიდამ აქამომდინ გიქ-
 მნია ცოდვა, ის წინა გიძღვს, სიკუდილის უამს მასუხს
 მოგთხოვენ, მეორე ცოდვა არის რომ, ვისთვისაც გისწავ-
 ლებია, სიბოროტე, მწამელეობა, სიცრუე, არა წმინდება,
 იმ ცოდვისა მიზეზი შენახარ, რასაც სხუანი იქმონენ

სიბოროტესა, უკან მოგდევს ის ცოდვა, როდესაც დი-
ლას საღამოსა ახსენო ღმერთის სასული ეს ლექსი შე-
აერთე «ღმერთო მიღვინე ცოდვილსა ამას და შემიწყა-
ლენ შე:

მამა! მაგაზედ მეტი აღარა ითქმისრა, მაგრამ გთხ-
ოვ რომ ესეც განმამარტო, კელმწიფე ახუ მთავარი, ვი-
თარი უნდა იყოს?

აი შჯლო, კელმწიფე უნდა იყოს მსწავლული, ჭეშმა-
რიტად მოსამართლე, მშვიდი, წყნარი და მოწყალე. და
როდესაც რო ღმერთი სწყალობს ხალხთა, ესე გვარსა
ელმწიფესა და მთავარს წარმოუდგენს, მაგრამ თუ კელმ-
წიფესა, მინისტრნი არა ჭეყანან ჭეშმარიტნი მსწავლე-
ლნი მოსამართლენი და უქრთამონი, მაშინ კელმწიფე
განუსვენებლობიბაში იქმნება, ერთი გვაში სამოცს
მილიონს ვერ მიუვლის, უმინისტროთ, დათუ მინისტრნი
ბოროტის მომქმედნი იქმნებიან და სცნობს კელმწიფე
და არ განაშორებს, მაშინ წინაშე ღმერთისა პასუხს მის-
ცემს ხალხთა.

აი შჯლო მაგალითს გეტყვი, სული არის ხელმწიფეე
იმისი მინისტრი არის თვალი, ყური, ყნოსა, გემება,
და შეხება, თუ რომ თვალი გარჯათ ვერა ჭხედავს, ყურს
არ ესმის, ყნოსა კეთილს სუნსა და ცუდს არ განარ-
ჩნევს, გემება სიმწარესა და სიტკბოსს ვერ განარჩევს,
გტრთევი შეხება, უამათოთ აბა სული როგორ განჭსვის
რას წარმიდგენს, რას იმეკმედებს, თვალი თუ აცდუ-
ნებს გაცნა, აღმოიღოს და გარდაგდოს სამღრთო წე-
რილის ბძახებისამებრ.

აი შჯლო, მე დაესწრებოვარ, მტრისაგან ჩუქნი ქა-
ლაქი, ასე აობრებულ იყო რომ ქუა ქუასედ არ იდგა,
ორმოცდა ათი ათასნი წამართნი შიგ იდგნენ და
სწუწდნენ, სამი თვე ტუცხლი კვიდა, აჭა შჯლო, მოჭსე-
დე ტფილისსა როგორ ჭეკავის, მთელს რუსეთში მე-
ოთხე ქალაქი, და მანუხი არის, დიდი რუსეთის იმპე-
რატორნი, აქა სჩანს რომ ღმერთი გვწყალობს, რომ
ამისთანა კელმწიფე დაგვირდინა. ჩუქნი სხუა აღარა
დაგვირდინა, სხუა არა შეგვიძლიანარა, უნდა ღმერთს
მადლობა შევსწიროთ, და იმისი დიდებულების დღეგრ-
ძელობა ვსთხოვოთ, უკანასკნელ სისხლის წვეთამდინ
ვმსახუროთ.

შჯლო! სხუა არაა გითხრა, მსახურე დიდს იმპერა-
ტორსა შეძლებისამებრ შენისა, და იქსები ბედნიერ და
სახელგანს.

მამაო! ეგ ყოველივე მოვისმინე, მიბძანებ რომ ცო-
ლი შეირთო, შჯლო რომ მეყოლას როგორ უნდა
აღვსარდო.

შჯლო, როდესაც ბეყოლას შჯლი, და შეიქმნას ოთ-
ხისა და ხუთის წლისა, და სცნას მშობელნი და მოჭი-
რნახულები თვისნი, მაშინ ის დიდასა და სადამოს
დააყენე და აღორცე, იმ ერმასა ჩვეულებათა აღნაკებთ
შექმნება ღმერთის სიყვარული, და ვისაც ღმერთის სიყვარ-
ული აქუხ კეთილი კაცია იქმნება, შემდგომ რომ შე-
იქმნას შჯლისა ანუ ზვის წლისა, მაშინ ეცადა რომ
ახეთი მოძღუარნი და ოსტატი უშოკნო რომ სწავლე-
ლი იყოს და კეთილის ქცევისა თუ. მასწავლებელნი

ცუდნი იქმნებიან და ცუდის ქცევისანი, შენი შვილიც
ცუდის ეოფაქცევისა შეიქმნება უთუოდ.

შჯღო. ღქრო გქოდეს. ვერცხლი თუ ნიეთი, ყმა ანუ
მამული სულ იმისს სწავლაზედ შექსწირე, როდესაც
რომ ისწავლის, ერთი ათათ, ერთი ოცათ შეგმატებს,
უკეთუ მსწავლელი იქმნება, და უკეთუ უსწავლელია რაც
რამა გაქჴს მაგასაც დაჭკარგავს და შენც შეგაწიხებს,
თუ უსწავლელი და უცნობო იქმნება იმისთანა შჯღის
ყოლას უყოლობა სჯობია.

შჯღო, ამაზედ მეტი სწავლა მე აღარა ვიციარა, თუ
რომ მტეიცეთ იქმნები ამ ჩემს სწავლაზედ მაშინ ბუდ-
ნიერი იქმნები, თუ არადა უბედურთბას მიეცევი.

დიდება შენდა სულა ეოკლად წმინდაო.

თ. გოთრგი ერის-თაუცი.

ღამე ქორწილის წინ

ა ნ უ

საქართველო ათასის წლის შემდგომ.

ხუმრობა ორს მოქმედებად,

(ნათარგმნი სოლოგუბითვან.)

მოქმედება I.

(დეკარტია წარმოადგენს ქალაქის სახელაობას a' vol oiseau, სცენა გაყოფილია უეავრო ბანებზედა, ბუხრის საკომლეებით, შენობებით და სხ. ღამე მთვარეანი, ვარსკვლავებს დაუღაყი გააქეთ, შორს ბანებზედა არიან შეკრებილი ქალები, რომელნიმე მათგანი თამაშობენ ლეკურს მამხალების შექმედ; მამხალები არიან ჩარჭობილნი ბანებში — ჰირველს ჰღანზედა არის ქეიფობა ქარ. თველთ აზნაურ შჯლით, რომელნიცა სხედან ბანზედა,

მეორეზედ სხედან სათარა და მეზურნები. მინამ ფარდა აიხდებოდეს შემოისძის ზურნის ხმა და გავრცელდება რამდენსამე ხანს.)

გამოცხადება 1.

ქაიხოსრო გორგოშელი, კარაბეც თხაგიონოვი, რევაზ რქეთელი და სხუა რუა აზნაურშელები.

რევაზ. ნება მიბოძეთ... მე უნდა ავდგე... ყველამ ყური მიგდეთ! ყველა საქმეს აავისი დაწეობილობა უნდა ჰქონდეს.. ჩუწნ სამეფოს სადღეგრძელო თავლიეთ განა!... ახლა საცოლოს სადღეგრძელოც უნდა დავლიოთ.

1) ქართველი. ღმერთმა ადღეგრძელოს შუჭუნური ქეთევან.

2) ქართველი. ღმერთმა ადღეგრძელოს ქალაქის ქალე-ბის თვალი.

3) ქართველი. ღმერთმა ავაბედნიეროს.

2) ქართველი. და ყოველთხს ეგრეთი ღამაზი იყვეს, როგორც ესლა ჩუწნდა გულის სახეთქად და მაგ უღირ-სის სასიხარულოთ.. ერი ჰა!.. შენა ძამო, რატომ სულ არ დასცალე!

ქაიხოსრო. არა ჩემო ძამო! მე ამ აზარფეშების ან-გარში კიდევ დამავიწყდა და . მე თქუწნის დღეგრძე-ლობით თავს თობრო დამეხვას.. ისეთ ნაირათ მიტრია-ლებს თავი, როგორც ბოძაღი.

რევაზ. არა შენ ეი? გამიგონე რას გუბნები... ჩუწნ შენი საცოლო ქეთევანის სადღეგრძელოს ვსვამთ,

რომელიც ხელ შენი ცოლი უნდა იყოს, ახა იფიქრე
ვის უნდა უნდოდეს ისე იმის დღეგრძელობა, როგორც
შენა,, ჭა... იყავ თუ არა აქამდისინ უცოლო კვ ღმერ-
თმა იცის, მაგრამ დღესკი არის უკანასკნელი დღე შე-
ნის უცოლობისა. ალაპერდი ქაიხოსრო!

ქაიხოსრო. დავთვრები და ჩემი ცოლაც შენა!...
იანშიოლ და ჯანი წაგივიდეს... ღმერთმა გადღეგრძე-
ლთ ყმაწვლებო. ურა!

1) ქართველი. რამოდენასა ღრიალებ კაცო,—ხედავ
ქალები დაფთხსენ და გაიქცენ...

კარაპეტ (დგება.) ახლავი დროა... კარგა ხანია გა-
სული... ყმაწვლებო, თუ შეიძლებაღეს ე ჩემი სიძე გა-
ნათავისუფლეთ... ხვალ მაგის ქორწილია... ახა მოვრად-
დი ხომ ვერ მოვა თავისაჲე ჯვარის წერასყდა! ..

რევაზ. მომითმინეთ ერთი შენი ჭირიძე, რა მოგა-
სსენათ... რადგანაც შე გამომიჩნიეთ ტოლუბაშათა,
გთხოვთ, რომ ცოტა უფროც მიგდოთ... სხუას ჩემს გა-
რდა აქ ნება არავის არა აქუს, რომ ბძანება მოახდინოს,
აი ხომ ხედავთ! (უჩუქსებს კარაპეტასყდა) ეს განლავთ
ქალაქის პირველი მოქალაქე, კარაპეტ თხაგიკონი, ვი,
დი არის ჭკვანი და დარბაისელი, თავდარიკიანი, ბე-
რის ოქროსა და ვერცხლის მქონე და გარდა ამისა ამა-
სა აქუს ორი დუქანი დახურულს ბაზარში და საკუთა-
რი ქარვასლა ორდუბათში, მაგრა ამისი პირველი განმი-
არის ამის მშუტნიერო ქალი ქეთევან, რომელიც ოქნება
ხვალ ჩუტნის მეგობრის და შმა კაცის ქაიხოსროს
ცოლი... აა ეს არის, ყმაწვლებო შამა, შეუდარებელის

ქეთევანისა... დიან, ეგ არის!... და დავიჯერო ჩუქნ არ
დავლევო მაგის სადღეგრძელოსა? ბიჭო! გამიმსე! ჩუქნ
უეჭველად უნდა დავლიათ კარაპეტას სადღეგრძელო...
ვინც არ დალიოს დაექტეს ოჯახი.

კარანუტ. მადლობელი გახლავართ ჰატივისცემისათვის...
უმორჩილესათა გონივით ვკვლასა, რომ ზეგ სადილათ
მეწვანეთ... ახლავი თქუქნმა მსემ მოსვენების დრო
არის... აბა შეხედეთ. უმაწვლებო, ქაინოსროსა: რა რიგათ
დაითრო? კარტა რამ ჩემი ქეთევან არა ჰხედავს მაგას
მაგ ყოფაში, თორემ შესძულებოდი... მშჯლობით უმა-
წვლებო. მე მოხუცებული გახლავართ და ძილის დრო
მაქუქს, ხვალ ათას ნაირი საქმე უნდა მოვაგვარო.

ვეკლანი. დაბძანდით, მითმინეთ, ჯერ ადრეა გი-
დევა.

კარანუტ. როგორ ადრეა, საცაა მამლები იყიულებენ.
რევაზ. ერთი გიდეკ მიირთვთ.

კარანუტ. არა, შენი ჭირიმი! მეტი აღარ შემიძილიან...
თქუქნც გირჩევთ, რომ ახლა შინ წავიდეთ, თორემ ავით
დახდებით... მშჯლობით ბძანდებოდეთ... ქაინოსრო!
მშჯლობით! ნუღარ დალევ მეტსა. ხვალ ხომ იცო
შენთვის რა დევა, სირცხულია. რომ ჯუარის დასაწყრათ
მთუჩრადი მოხვდე, აბა, დაშე მშჯლობისათ! (გავა)

გამოცხადება 2.

1 ქართული. აი, ჯანაბას მაგისი თავი! კარგათა
ქუქნა, რომ წავიდა, რა კელი აქუქს გამოყრუებულს

ბებერსა ემაწვლებთან საქეიფოთა.

რევაზ. ემაწვლებო, გთხოვთ რომ ყური მიგდოთ აქა, მე უნდა მოგახსენოთ რამე.

ყველანი. ყური უგდეთ.

რევაზ. აი რა უნდა მოგახსენოთ: ჩუწნ უნდა გავსტუდეთ, რომ ჩუწნ ქართველები თან და თან ძალიან შევიცვალენით.

ქაიხოსრო. დიას! შევიცვალენით,.. ეგ სწორეთ მართალია... შენ მაგისთანა მართალი არ გითქუამს.. შენ იმაზედ ამობ რადა... იმაზედ, ვითომ...რა ქქან?... ჭო განათლებასედ.

რევაზ. განათლება, ოო—დიდი საქმეა.. აბა გარეშე-მო შეინედეთ: ხედები, გზები,სასწავლებლები, თეატრები, ბალები, მზის ბალები, მღაზინები, განათლებული სასოგადოები, ყურნალები, სულ ერთბაშთ იწყობა; ამ ცლტა ხნის წინათ ჩუწნ ამათი სახელიც არ გაგვეგონა და, ესღა უამათოთ ველარცვი გაგძლებთ.

ქაიხოსრო, ახლა რასედ ანობ შენ მაგას?

რევაზ. მოიცა, ამ ცლტას ხნებში რომ ასრე გამოვიცვალენით, აბა უნდა ვიფიქროთ რა იქნება ათასის წლის შემდგომ, როდესაც მთელი დედა მიწა დაიფარება რეინის გზებით და ცა გოზდუშნი შარებით? მაშინ ისე ეგვანებან ყველა მთის ხალხი ერთმანეთს, რომ კაცი ვერ გამოაჩიკოს: საეროება აღმოიხრცება. ასე არ არის?

ქაიხოსრო. აგრე უნდა იყოს უთუოდა.

რევაზ. და ჩუწნც ისეთები ვიქნებით როგორც სხუა ერობიულნი, განათლებით ყველანი ერთი ვიქნები, რო-

გორც ძმები, მაგრამ მოითმინეთ რა მოგასხსენოთ: ეს გარჩევა ყოველთვის დარჩება ქართველებსა და სხუთ ხალხში.

ქაიხოსრო. აბა რა გარჩევა?

რევაზ. ბეგრის ღვინის სმის ნიჭი.

ყველანი. ბრავო, ტოლუბაშო!!...

რევაზ. ჩუტნი იქნება აღარ ვსვამდეთ. აღარც ვინცე ბით, აღარც აზარეულებით; მაგრამ ამასევე ნაკლებს, რასაც ესლა ვსვამთ მაინც და მაინც აღარ დაგლეკოთ, ეს არის თავი და თავი! ჩუტნი უნდა ჩუნი ყოველივე ღვინისძიება მოვიზნაოთ, რომ ეს წარჩინება სხუთ ხალხთა წინაშე დავიმარხოთ. ზოგი ერთს ავი გაცნო კიდეც ამბობენ, ვითომც ჩუტნი მამაპაპათ ჩუტნივედ მეტი ესვათ, მაგრამ ეტ საშინელი ცულის წამებაა და ურცხვი მოგონება... ჩუტნი საქმე ესლა ესტიბარია, ესტიბარი არ უნდა გავიტყვოთ და უნდა ვიმატოლოთ თავი, უნდა დავიმარხოთ უწინდელი ჩუტნულება: ამას თხოულობს თანასწორობა... უკრობისა და მთელის ხმელეთის პოლიტიკა. ბიჭო! მოიტა ვინები. ვინც ერთბაშათ დასცლის; ნამდვილი ქართველიც ის იქნება და დარდიმანდიც... აბა დიწვეე ქაიხოსრო! ხვალ რომ შენ ცოლიანი იქნები, ჭაი გიდი, ჭა! მაგრამ დღესეი უნდა შენი ბიჭები გვიჩვენონ და შენს ტოლ ამხანაგში უნდა ამოირთვა სული.

ქაიხოსრო. კერა, შენი ჭირიშე, მე უმაგისოთაც...

რევაზ. ეე! დალივე საქართველოს სადიდებელად... ჭოო, ეგრე აი! (ყველანი სდგებიან. ქაიხოსრო სვამს) ბარაქადა!.. ყოჩაღ! (ქართველებისაგან) აბა, ახლა რიგზედ

და ქეიფით გავსწიოთ... აბა მეზურნებო, ჭა!... ქეიფი გასწიეთ ვინც ქართველები ხართ! (ტაშს უკვრენ. ზურნა უკრავს, ჟიხვ გადადის კვლადამ კვლში. კვიანს და ლეკურს თამაშობენ)

ქაიხობრო. ალლაკერდი. ძმებო! ალაკერდს მოკვივარ მთელის ქუჩნით, მთელის კაკასითა! (პუბლიკისაკენ) თქუჩნით, ბატონებო, თქუჩნით... აბა რას მიუყრებთ?... ჭა... აბა რა არის.. აბა თქუჩნს აშდენი დალიეთ რაც მე!.. ამოდი გასჯილო სულა! ქეიფი გასწიე ჩემო გულა!.. ღმერთმა ადღეგრძელოს უცოლობა, ღმერთმა ადღეგრძელოს რაც ქუჩუნასუედ ღამაზია.., ღმერთმა ადღეგრძელოს რაც ქუჩუნასუედ ქალია... ვაიმე რას ვანბობ!.. მე ეგ არ უნდა შეთქო.. ყველა ქალები რათ ადღეგრძელოს... იმათ რაო!... ისინი ჩემები რა არიან, იმათაც ღმერთმა მშუღობა მისცეთ. მე იმათთან რა საქმე მაქუჩს.. მე ერთი მყავს... და ეს არის ჩემი საკუთარი... ჭა! სულ საკუთარიკი არა, და ხუალკი სულ ჩემი იქნება.. რკინის გზებამდინ, ვოზდუშნი შარებამდინ ჟერ შორს არის და ესკი ხვალ.. ქეთუკან ჩემი იქნება.. ოჰ! როგორია... ჭა!... თუ ჟიხვი, ესე იგი ჩემი სიმაზრი, თუნდ როგორც იცოდეთ... შუა ბაზარი, თუნდა დახურული. უკაცრავოდ.. ქეთუკან.. ყოვლად შეუძლებელია.. ყოვლად... (დაეშვება ძირს და დაძინება.)

1) ქართველი. ჭა, ჭა, ჭა, ჭა!.. ჩუჩნი სამეფო კარგათ მოემზადა.. გლარ შესძლო.. ფუჭ!

რეკავ. არა მგავს მე... მე სულ არცკი მეტუობა თუ დამილეკია რამე... მიცქირეთ (ბარბაცებს) სულ არცკია

მეტყობა. აი როგორ დავდევარ.

1 ქართველი. მე კიდევაც მინდა სმას. ბიჭო! ღვინო მთავრადი ყველასა ღვინო!..

რეგან. შენ აქ რა მმანებელი ხარ, ჭა? განა შენა ხარ ტოლუბაში! ერთი სტაქანი ცივი წყალი შტრაფი უნდა დალიო.. ბატონებო, ყური მიკდეთ, რა მოკასსეხათ: თქვენ შენიშნეთ, რომ აქ აღარ არის ნიკო რეწეთელი.. იმან თავი მოიმტკივნა და გაგვეპარა დასაძინებლად.

1 ქართველი. უნდა შტრაფი გადავხდევინოთ იმას.

რეგან. სწორეთ მართლსა ბძახებ... აი, როგორ მაშინვე შეეტყობა ჭკვანს კაცსა... ჩვენს სამეფოს თავი დაკანებოთ დეე კმინოს, და წავიდეთ ნიკოს შტრაფი გადავხდევინოთ, ყველანი ერთბაშით მიუხტეთ, გავაღვძოთ, მოვატანინოთ ღვინო და იმის ჯავრზედ იმდენი ვსვათ და ვასვათ, მინამ არ წავიგტეს. როგორ მოგწონთ ჭა?

ყველანი. ფოხად, ტოლუბაში!..

რეგან. ბიჭო, ალაგე აბა ჭურჭელი... მეზურნებო წინ გაკვიძებით და რაც შეეძლოთ და ძალი და ღონე ტქონდეთ ასწიეთ, ისრე რომ შთელმა ქალაქში შეიტყოს, რომ ჩვენს ქეიფსა ვსწევთ. სამეფოს გარდა აქ არავინ არ უნდა დარჩეს და ვერცარავინ დაიძინებს ამალამა. გავსწიოთ, ბიჭო!..

ყველანი. წავიდეთ, წავიდეთ! (მეზურნებო წინ მიდიან, იმათ მიხედვეს ქართველები ოღნავის ბარბაცითა, და ჩადიან კიბუსა და ბუბობებზედ. ზურნის ხმა თანდა თან იკარკება. სტენახედ სრული ღამეა, ორკესტრში სელანის

ქვეშიდამ იწეობა მუხლები, sommer-nael frau-გან. დაიწეობა ბაღეთი. ბანის ქვეშიდამ გამოსპვრების მავალა-ჯუნები და მძიმე სიზმრები, იმათში აღმოჩნდებიან მსუბუქი სიზმრებიცა. ნახევარ ჭეროვანი, გვირგვინში ყავა-ჩოს ყვავილებიღამ, არის ტანჯაობა, როდესაც ისინი გაჭქებიან, დეკარატია შეიცვლება და წარმოადგენს ტფილისს ათასის წლის შემდგომ, სახედაობა ისევე ის იქნება, მაგრამ ყოველის მხრიდამ აღმოჩნდებიან უდიდესნი და უმშუბნიერესნი სასახლეები, სარაზმეები, სტატუები, ნიშატები, სობოროები, სხანან რკინის ცხები და სხუანი.)

გამოცხადება 1.

ქაიხობრო, (გადაბრუნდება აღვსედა) ოჲ, რა ცუდი მუთაქა რამ არის? გაცვი არ ამინებს და... ბა, ბა, ბა, ბა! ეს რა ანბავია? ქაღაქა შეუცვლიათ! აი დიდება შენთვის ღმერთო! სრულებით გამოცვლილას, რა გქნა, ეს როდის მოისწრეს, რომ ასრე კარგათ გაუშენებიათ! დავიჯერო ეს სულ სტროიტელნი გამომისიის უნარი ივეეს, ვინ მოიფაქრებდა იმიოგან ამასა, და ისიც ასე ჩქარა. აი დიდება შენთვის ღმერთო!... რა გქნა, მე ეს სახლები არსად არ შინახავს!. ახა ღმერთო ჩემო!... დახე, სამო-

კარი როგორ თვლებზედ მოჭკორავს და!... რა ვქნა, რამოდენა სამოკარია!.. ბიჭოს! ე ჩუჭნი ბანებიც მოკრთულან. აი დადება შენს საკურკელებსა ღმერთო!... ახა ერთი წაკვიდე და ვნახო ჩემი ქეთევანიც გამოცვლილა თუ არა... კარაპეტ!.. (ვიზანტის ხელთბის ფანჯრებიდამ გკართლილიდამ გამოიხედავს კარაპეტ, წითის იარაღინით და ხალათით.)

კარაპეტ. (იჭიმება და ამოქნარებს) რა ყოფა გაქვს მანდა, ღოთო?

ქაიხოსრო. კარაპეტ! ერთი შემატყობინე, მამიშენის მზესა, ეს რა ანბავია?

კარაპეტ მე შენ შეკატყობინებ კარგა, ღუთის წყალობა მჭონდეს, თუ არ დაიშლი ემა ყვირილსა.. ესღაკე პოლიციაში წავატრეკინებ ვიღაც ოხერი ხარ.

ქაიხოსრო. ბიჭოს, კეღარ მიტნობ? კაცო, მე შენი სიძე ვარ, შენი სიძე ქაიხოსრო.

კარაპეტ შენისთანა ღოთები აქ ბევრი დაესეტებიან, დაიკარგე, მინამ აქედამ ძალათ არ წაუთრეკინხართ, ნუ უფუთობ ამოდენა პატროსან ხალხს ძილსა, (მოარტყამს ფანჯრის კარებსა).

ქაიხოსრო. რა ღმერთი გაუწყრა? ჭკუაზედ ხომ არ შესცდა ეს ოხერი! ან უთუოთ აპირებს რასმე, მაგრამ რა სასტკებელი აქვს ჩემის მოტყუებიდამა? მე ვერა ფერი ვერა გამიგარა—რა უნდა იყვას. ხომ არ მომჟადოვებს?... ესეც კაი ამბავია!.. ვიღაც მოიპარება ბანებს-ზედა. ახა დიდება შენოჯს ღმერთო! ეს როგორი ეშმაკური ტანისმოსია აცვია! ეს უთუოთ თვატრის ღერებ-

ცისკან იქნება პარიუდამ დახარებული.. ეჭვი! თქვენ
 აქ რა გნებამთ, რა დაგკარგვიათ, რას ეძებთ? სხვის ბანე-
 ბზედ ბობღვა ვატების წესია. შენ ხომ კატა
 ან სარ.

გამოცხადება. 2

ქაიხოსრო. და შამილ.

შამილ... სსსუ..

ქაიხოსრო. როგორ თუ სუ?

შამილ. სსსუ! ხმა არ ამოიღო.

ქაიხოსრო. ხმის ამოუღებლობა რაღა არის? მაშ ცუ-
 გვა დაუარო თუ.

შამილ. დაბლა ილაპარაკე.

ქაიხოსრო. დაბლა? ვითომ რათა?

შამილ. თუ შეიტყო ვინმემ თქვენის მიზეზით ჩე-
 ში აქ ყოფნა, როგორც ძალღს ისრე ბრ დამინდობთ
 მოსაკლავათ: ან ტყუით დაგხვრეტ, ან დანით გამოგჭ-
 რი ყელსა, რომელიც გინდათ ამოაჩხიეთ.

ქაიხოსრო. მადლობელი გახლავართ, ნუ გაისკუ-
 ბით...

შამილ. მაგრამ არა მგონია თქვენს ჩემი უბედურება

ინდომოთ, მე მგონია თქვენს იმისთანა კეთილი გაცი ბძანდებით, რომ თვითონვე მომტეთ ამ ჩემს დაჭირებულსაში შემწეობა და არც უარსა მეოფთ მეგობრობასკედ.

ქაიხოსრო. თქვა!.. იი, თურმე რა იყო! არა, ჩემო მეგობარო, გამოცდილი შეეჩხართ ქალაქელი მეგობრები. თქვენსი მეგობრობა ვიცი რაც არის! უკაცრავათ ნუ გახლდებით, არა! თქვენ ვერ შე ეს მითხარით რასაცა კეთისავთ, ესე იგი, ვინა ბძანდებით თქვენსა?

შამილ. მე ვინა ვარ?

ქაიხოსრო. დიას! უნდა შემატყობინოთ თქვენსი ჩინი, სახელი და გვარი, და მეც ჩემსას მოგახსენებთ: მე გახლავართ ნადვორონი სოკუტნიკი და გავალერი ქაიხოსრო გორგოშელი.

შამილ ჩემი სახელი არა მგონია თქვენს გაგეგონოთ სადმე: მე გახლავართ შამილ.

ქაიხოსრო. ყარაულ!.. დანიჭირეთ!... მიშეუღეთ!.. შამილი, შამილი?...

შამილ. (პირსკედ გელს აფარებს) რასა ყვრი, ხომ არ გაგიუდი კაცო?... მაგოფენას რომ ყვრი ხომ გაგიგონეს.

ქაიხოსრო. როგორ თუ რასა ვევირი, თქვენს ამბობთ, რომ შამილი ვარო, და მაშ არ დავიყვრო?

შამილ. ჭო და რა არის რომ შამილი ვარ?

ქაიხოსრო. მეკე თუ თქვენს კარგი კაცი ბძანდებით, ვედენიდამ აქ რამ მოგიყვანათ?

შამილ. ვედენი რომელია? ეც რომელ ვედენასა ბძანებთ?

ქაიხოსრო. უშაყებმა იციან შენი თავი და შენი კისერი, რა ვიცი რაღაც ჟურღმული თურმეა ჩაჩნებში.

შამილ. აი დიდება შენთვის ღმერთო! ეგ ვედენი რადინდელი ამბავია, მაგ ვედენისა უხსოვართ დროთაგან ნაკველვიც აღარ აჩის.

ქაიხოსრო. მაშ თქვენ ჩაჩნებიდამ არა ხართ?

შამილ. როგორ არა, ჩაჩნებიდამა ვარ. მე ვარ შჯლი იქაურის მარშალთ მარშლის პეტრე სუმონიჩისა. თქვენ იქნება ვიდრე გაგეგონათ.

ქაიხოსრო. არა ბატონო! თქვენ მე ჯერ ერთი ეს მიბძანეთ: თათარი ხართ, ლეკი, ურია, თუ ვინ ხართ?

შამილ. რათა! ან ურია რათ ვიქნები, ან თათარი, და ან ლეკი! მე მადლობა ღმერთსა წმინდა რუსი ვარ.

ქაიხოსრო. მაშ გასეთებში რათა ჭსწერენ, რომ ვითომც შამილი ჩვენნი პირველი მტერი იყუეს, მართალია ჩვენნი გასეთები გროშათ არა ღირან, მაგრამ, მაგდენის მოგონება რა ცოდვის კითხვაა?

შამილ. თქვენ გიდეკ თქვენსას ანობთ. ეგ. რასაც თქვენა ბძანებთ, იყო ათასის წლის წინეთ. ჩემი გვარის თავი დიდი შამილ, მართალია დიდი მტერი ყოფილა რუსეთისა მეცხრამეტე საუკუნეში, მაგრამ ისე გახადეს ბოლოსა, რომ სად თავი ჭჭონდა და სად ბოლო ვედარ გაიგო. განა თქვენ ისტორია არ იცით? თუ არ იცით ეგ დიდი სირცხვილია!

ქაიხოსრო. არა, სწორე მოგახსენათ, მე ისტორიისა არა ვიციარა და არც მეკითხება მე თქვენა ისტორია, ერთი უნდა თქვენ შემატყობინათ. აბა მა-

ამბუთ: აქ რამ მოგიყვანათ?

შამილ. ჩემი ისტორია ერთი უბრალო საქმეა. მე ვარ სტუდენტი დუშეთის უნივერსიტეტისა. მამა ჩემს უნდოდა სხვა უნივერსიტეტში ჩემი გაგზავნა: ან ტაბანში, ან ბაქოში, მაგრამ, რადგან დუშეთის უნივერსიტეტი განთქმულია მატემატიკის ნაწილითა, ამისთვის დუშეთს გამგზავნა.

ქაიხოსრო. შერე დუშეთში რასა სწავლობთ?

შამილ. ექ! ეგ არის კადეტა, რომ მე არა მაქვს არც ნამწერი სურვილი მატემატიკის სწავლისა.—მე მაქვს ნიჭი მხატვრობაში. მე ყოველ დღე ჩამოვდიოდი ქალაქში...

ქაიხოსრო. დუშეთიდან?

შამილ. ქო! რგინის გზით ნახევარ საათის საუკუნის სულა. ქალაქს თვთქმის სულ გაღერიაში ვსცხოვრობდი.

ქაიხოსრო. ჰო, აქ ბევრი გაღერეიები და ბალგონები, ვინიცობაა კაცს დასჭირდეს რისთვისმე, ნამეტნავად, როდესაც ძალიან სიტყვა.

შამილ. მე განა გასაგრილებელ გაღერიას მოგახსენებ; მოგახსენებ მხატვრობის გაღერიასა... მე აღტაცებული ვიყავ საგვრველის გამოყვანილებით დიდის ქართულის შკოლისა; მე ვნახავდი ხოლმე ქართულის პირველთ გელოსანთ სახელოსნოსა, დავდიოდი ხოლმე ტფილისის აკადემიაში: ერთის სიტყვით მე შევიქნე ცოცხალ მხატვარი. აბა ერთი თქმენ თვითონ ბძახეთ: კაცი აღზრდილი კავკასიის ბუნებითა და ამ მშენებნიერს ცის

ქვეშა, მხედველი ამა სოციალისტის აქაურის მშენებნიერების
ქიპისა, შეიძლება რომ არ გახდეს კაცი ხელკანნი?

ქაიხოხრო. ეგ ვსთქვით რომ არ შეიძლება, რომ
ხელკანნი არ გახდეს; მაგრამ ბანსედე რისთვის დაძვრე-
ბით თქვენ ამ შუალაშის დროსა?

შამილ. იი შე თქვენ სულ სწორეს მოგახსენებთ,
გასულს გვრე დღესა, შე გიყავ გუგის თეატრში.

ქაიხოხრო. გუგის თეატრში, თუ თამაშოვის ქარ-
კასლაში რომ თეატრია?

შამილ. არა შე გიყავ დიდის ქართულს სახალხო
თეატრში, გუგიაში რომ არის, განა არა შინდოდა წავ-
სულგოიყავ ან ავლაბრის თეატრში, ან სოლოლაკზედ,
მაგრამ გულმა, როგორღაც გუგიაში წამიზიდა, შერე იქ
ახალს პიესასაც ადგენდნენ,

ქაიხოხრო რობერტო დიაკოლოს ხომ არა?

შამილ. არა, ახალი ტრაგედია ლექსად დაწე-
რილს, ხუთს მოქმედებად; «რუსთაველ და თამარ.»

ქაიხოხრო თავადის ერისთავის თხზულება ხომ არ არის?

შამილ. სწორეთ, დიას! სწორეთ მოგახსენო, შე იმ
ყამად როგორღაც გაშტერებული უსმენდი ჩუწნთ ჩი-
ნებულთ აკტიორთა, რომელთაც შესწირეს თავი ამის-
თანა მტკიცის სიყვარულით ამ უმაღლესს კელოვნებას
და უუსარგებლესა განათლებისათვის საქმესა, რომელთაც
ასრე კარგათ შეისწავლეს და ისე ღრმად დახელოვნდნენ,
და ისე ხელოვნებით გამოხატვენ ამ გაწმენდილს
ქუწყნის სასარგებლო ჭეშმარიტებასა; მაგრამ ჩემი უ-
რადღება იყო მიზეზობილი ერთს დოჟაზედ. იმ დოჟა-

ში იქნა ერთი გასათხოვარი ჩუმი მკვლელის წლის ქალი, ის როგორღაც დაღონებული მიცქეროდა და იმისი დაფიქრებული თვალები ისეთ შებრალებით მიუყრებდნენ, რომ შესაძრად სჩამდა ისინი თხოვლობდნენ ჩემს საფარველსა. არ დაიჯერებთ, რომ ჩემს დღეში არ მინახავს იმისთანა ღრმად გამტანებელი გულში და იმისთანა მშინებნიერი და ელვანე თვალები! მე ვიყავ ალტარებულად ამ სურათისაგან, როგორათაც ცოცხალ მსატკარი, და ასეთ ნაირათ ჩამივარდა იმის სიყვარული გულში, როგორათაც შეჭფრობდა სტუდენტსა, სპეციალური გათავდა. იმან წამოიხსა ჩადრი და წასვლის დროს ერთი ისეთი დაღონებულის საყუდურით შემომხედა, რომ მე ვერ ავიტანე ის შეხედულობა და მანშინ უკან დაკეცივნი და მივდექი შორი ახლასა, მინამ შინ არ მივიდა. იმას მისდექდა მამა იმისი, როდესაც ისინი ავიდნენ კიბეზედ ის კიდევ უცებ მობრუნდა ჩემსკენ და დაიდო ტუჩებზედ თითი.

ქაინოსრო. ოჰ! მე როგორც თქვენს გატყობთ, ცოტა მატა კი არ უნდა იყუთ? ვაჟო, ეგ კაი ამბავი მერე? ბძანეთ და რაღა!

შამილ. მეორეს დღეს მე იმისთანა შემთხვევა ვიპოვე, რომ ვნახე ის ქალი, და იმან შითხრა რომ თუ მტა მე არ მინდა, მაგრამ ჩემს დაუკითხავად ერთ ვიდაცა ღოთს ქმარსა მრთამენო.

ქაინოსრო. ვის ღოთსა?

შამილ. ოჰ! რა იტოდე რა საშინლათ ეკავრება ქალს ის თავისი საქმრო. ესღა რაღა მე მიზოვა და სხ-

შინლათ შეუევადი, მთხუკს, რომ უშველო რამე და გამოვიხსნა იმ უბედურულის ცოლქმრობისაგან; მეც ჩემს სიტოცხლეხედ მომეტებულათ მიუვარს, ახლა ხომ მიხვდი რისთვისაც ვარ ბანზედა? მე იმედი მაქვს რომ თქვენც შემეწვიით ამ საქესი. ჭა?—რაც შეიძლება დეს უნდა დაგეშურნეთ, თორემ დღეს არის დანიშნული იმათი ვაკარის წეკა. მაგრამ ჩემის ცოცხლის თავით ვის დავანებებ! ის არის ჩემის გულის მაცოცხლებელი.

ქაინოსრო. იმის ქორწილი დღეს არის დანიშნული? თქვენც ერთი ეს შემატეობინეთ, შენი ჭირივე, ვინ არის იმ ქალის საქმრო ლოთი?

შამილ. ეშმაკმა იცის იმის თავი! რა ვიცი ვილაც ქაინოსრო.

ქაინოსრო. რაო, რაო, რაო?ის ვილახ, თქვენნი გულის მაცოცხლებელი ქალი, თუ უგაცრავათ არ ვიუკე?

შამილ. ის არის ერთი მოქალაქის კარაშეტ თხავიკონოვის ქალი, და არის იფრიად მშენსნიერი და შეუბადლებელი სილამაზითა, სახელათ ქვან ქეთევან.

ქაინოსრო. მიჭქარავ შენა! მიჭქარავ. შე ცრუ არამზადავ, შენა, მიჭქარავ! ის არის ჩემი სცოლო და არა შენი. ჭაი, შენ ბაიუშო, შენა! მე უევარვარ იმასა და არა შენა, შე ქენსენის გამაოხრებულო შენა! მე ვარ ქაინოსრო, მე, და არც ლოთი განლვართ, როგორც თქვენა ბძანებთ!.. ეს რა ლოთობაა, შარტო დღეს დავლიე. ამას ლოთობას ეტყვან?ესეც სიხარულით მომივიდა თორე... გესმის თუ არა! წადი აქედამ, დიკარკე, თორემ ესლავი ებანიდამ გადაუმახებ, როგორც კა-

ტასა. შე ავაზაკო, შენა!

შამილ. ოჰო! შენ კაი ამბავს აპირებ? გინდა გამცე განა?... აღარ მიშველი? მოიცა მაშ შე გინურსნებ შენა რაღაც შული ბძანდები?

ქაიხობრო. ჭაი შენ უაზი ყუმუხის თათარო შენა! შე ქჩისტესაგან შეჩვენებულა! ისეოსა დაგანარცხებ მიწასედა, რომ ასტმით გელარ აბხიგონ.

შამილ. ვინა? შენა? იქნება მართლა! გაბერილა კახურის ღვინის რუმბო!... შენ შე ეერ მცნობ ვინცა ვარ, ისე გამოგწურამ და გამოგუდინთავ რაც ღვინო ტანში გიდგას, როგორც საქაჯავი, ტესმის თუ არა?

ქაიხობრო. ეი, კარაპეტ!...

შამილ. რასა უკრი შე ოხერო. შენა, რომ თავდაუიდა გადაგიძახო ესლა ე ხანიდამა?... გაჩუმდები თუ არა?

ქაიხობრო. არა, არ გაჩუმდები. ეი, კარაპეტ!...

შამილ. აღარ აპირებ გაჩუმებასა განა? მაშ აბა თუ შე შენ ეერ გაგაჩუმებ და გერც ბიჭი!... ახლაგი ჩემი ნურა ბრალია და ნურც საწყენილა იქნება!... (აბამს ხანზედა და პირს აუკრავს) ბძანდებოდე აგრე, მინამ გიშველიდეს ვინშე... კიდევ დაიუჯრებ! ახლაგი დროა ჩემთვისაც ვიზრუნო რაშე... რა ვქნა, რა დემართა იმ ქალს აქამდისინა, ნახვს საათმა კიდევ დაჭკრა და ისეი ჭერაჩსად არის... აი კილატ მოდის, ქეთევან, შენა, შენი სულისა.

გამოცხადება 5.

ქეთევან. მე ვარ, მე. ჩემი თვალის სინათლე!

შამილ. ნუ გეშინიან. . მოდი!... ერთი დამენახვე და დამანახვე შენი მშუტნიერი ბრწეინვალე ჰირო! რათ და-
იგვანე ჩემის სიტოცხლის გავშირო?

ქეთევან. მე მამი ჩემის დამინებას ველოდი... მაგრამ, ისეთ ნაირათვი მიღონდებოდა გული, რომ შენ ვეცა გხედავდი! ვინ იცის, იქნება მამის შენ არცეი გახსოვდი?

შამილ. მამ ვილა უნდა მახსოვდეს თუ არ შენა! ეველა წიგნები ქართველთ ფილოსოფოსთა დავიწეებას მაქქეს შიცემული, მხატვრობა აზრათაც ზღარ მომდის, ასე გასინჯე რომ გეოგრაფიული საზოგადოებაცი ალართ მეშრიანება. ჩემი ფიქრი სულ შენსკენ არის: შენი ნახვა ჩემი სასუფეველია; შენზედ ფიქრი შეკადგენს ჩემს საქმეებსა და მუდამ შენახარ ჩემი სულისა და გულის საზრდო, მაგრამ ვინ იცის იქნება შენ იოტის ტოლათაც არ გახსოვარ!.. შითხარ, მოგაგონდები ხოლმე ერთხელაც არის?

ქეთევან. რაში გინდა რომ იცოდე?

შამილ. ნულარ მტანჯავ შენი ჭირიმე.

ქეთევან. მიუვარხარ, შენ გენაცვალას ქეთევანის თვალები!... აბა რაღა საკითხავია, რომ მიუვარხარ და მე-
რე როგორა, ისეთ ნაირათ მიუვარხარ, რომ მთელს ქუტუანაზედ არ გაგცვლი.

ქახლახანი. (შირ აკრული) ბმ... ბმ... ბმ!...

ქეთევან. ეს რა ამბავია?

შამილა. არა იფრინ! თავი დაანებე, შენ კენაცვალე, აქ ვიღაც შთვრალი დაესეტებოდა, აუდექ და დავაბი... ჩემო სიტყვსლეკე, შენი ჭირიმე, ნუ მკლავ სიყვარულის ალითა, აღმითქვ; რომ ჩემს გარდა შენს სიტყვსლეკეში არავის არ შეირთავ, რაც უნდა დაგემართებოდეს.

ქეთევან. რომ ვიტყდე, რომ თავდაღმა დამგიდებდნენ, მაინც შენის მეტი მე ქმარი არ შინდა და არც შევირთამ.

შამილა. მაშ დანიშნული რომა ხარ?

ქეთევან. მაშინ ჯერ შენ ვერ გიტნობდი და იმიტომ.

შამილა. დღეს რომ შენი ქორწილია დანიშნული.

ქეთევან. რა შენაღვლება... განა შენ ჩემი საქმრო არსად გინახავს იმაზედ ცუდი ქმრისაზედ ღადავინ არ იქნება.

შამილა. მე გავიგონე ვითომც ღოთიცი იყვეს.

ქეთევან. განა მარტო ღოთია, ამასთანავე საშინელი ძუნწიც არის და.

შამილა. საშინელი ხეობრეც თურმეა.

ქეთევან. ამასთან საშინელი გაუზღელი და უთავაზოცა.

შამილა. ცუდი, ერთი რაღაც რამ სხმაგელი.

ქეთევან. როგორც ჭირი ისრე შეჯავრება.

ქახლახანი. ბმ... ბმ...

ქეთევან. რა ვქნა, ეს რა ანბავია?

შამილა. მაგას თავი დაანებე... რაც გინდა დააქვი, შენი საქმროვი არის და... ნეტავი ესაა ისე იყო

ავასაკობა.

ქეთევან. ავასაკი რა არის?

შამილი. ავასაკები ყოფილან ერთხელ რდესმე კაცა, რომელნიც სცხორებდნენ მოტაცებებით და ცარცით; ვინც უღონო იყო დაეცემოდნენ და რაც რამ ეხდათ სულ წაართმევდნენ. მე მამიჩემისაგან გამიგონია, რომ იმას უნახავს ერთი ავასაკი, რომელიც თურმე დაჭყუადათ სანახავათა და ამაში ფულებს იღებდნენ და იმის შემდგომ აღარავის აღარ უნახავს ავასაკი გაცი.

ქეთევან, მეკე შენ რაში გინდა ავასაკები.

შამილი. შენ მოგიტაცებდი ძალათი, და ვაი იმისი ბრალიცა ვინც შენს თავს შემეცდილებოდა.

ქეთევან. განა ჩუწნგი ხელფეხი გვაქვს შეკრული თუ ტუეეები ხომ არაკათ? მადლობა ღმერთსა ჩუწნც ისე თავისუფლები ვართ, როგორც კაცები; ჩუწნ ჩუწნს თავსედ ისეთივე უფლება გვაქვს, როგორც კაცებსა... მაგრამ მნელი ეს არის, რომ მამა ჩემი სომხის ვაჭარია, და პირობა აქვს მიცემული, და შენ ხომ იცი რა მტკიცე პირნი არიან სომხის ვაჭრები და რა ძვრად აფასებენ ისინი თავის სიტასა და პატიოსნებასა.

შამილი. როგორ არ ვიცი... (დაღონებით) მამ რა ბეკუელებს?

ქეთევან. იცირა?.. მოდი მე და შენ გავიქვეთ.

შამილი. რა მესმის! მართლსა შენ გენაცვალე ქეთევან, შენ ეახულსა ხარ? ოჲ. ბედნიერებაჲ ჩემო! ოჲ. სიცოცხლე ჩემო! ახლავი სწორეთ დაერწმუნდი, რომ სწორეთ ისრე გიევაწყავრ, როგორც ამბობდი... მამ გავიქვეთ.

შენი ზირიძე, ჩქარა გაგიტყუო. (მღერის.)

ტერცეტი.

ქო! გაგიტყუო ცის კიდეზედა,
 იქ განვიხარეთ ერთად ერთად,
 იქ მივეტყემით მშუღ სიყვარულსა
 და გაკატარებთ სუფევით დროსა
 ვერვინ დაგვირღვევს იქ მოსვენებას
 და მოვიპოვებთ სამოთხებზე შუბას.

ქეთევან. თუ ჩემი ქმარი მუდამ შეიძლებს.

შამილ. თუ ჩემი ცოლი მუდამ შეიძლებს.—

ქეთევან. ჩემს სიყვარულსა.

ქაიხოსრო. ბმ... ბმ...

შამილ. ჩემს სიყვარულსა.

ქაიხოსრო. ბმ... ბმ...

ოჩნიკენი. ჩემს სიყვარულსა.

ქეთევან. აბა, დროს ნუღარა ვკარგავთ, თუ გაქცევ
 გზნდა დღესვე გაგიტყუო სიბნელითა.

შამილ. ემ საათში... მე მხოლოდ მივირბენ რომ
 მთელის ქუჩების თამასუქები წამოვიღო.

ქეთევან. მეც ეხლავე წავალ და მოვიტან შუა ბაზრი-
 დამ ჩემს ბრილიანტებსა.

შამილ. მე ეხლავე დაგობრუნდები. ოჰ, მადლობა შენთვის
 ღმერთო! ქეთევან ახლავი ჩემი საკუთარი იქნება. ქეთე-
 ვანჯან, ჩუტნი ახლა მარტო ოჩნიკენი ვიქნებით. ოჰ! რა

გაკეცის, არ ვიცი როგორ უნდა წარმოესთქვა, დავა-
მტკიცო ჩემი მადლობა; ვერა მგონია, რომ ჩემმა სიტო-
ცხლემ იმპაროს შენის სიკეთის გადასახდეინებლად.

ქეთევან. მე ამის მეტს არასთერს არასა გობოკოლონდ
უოკელოთს ისრე გივარდე როგორც ესლა.

შამილ. მშჯლობით ჩემო სიხარულა, ჩემო სიტოც-
ხლევ. ჩემო დღეგრძელობავ, ჩემო, ჩემო ცოლო...

ქეთევან. რატომ არ ავოცებო თქუწნს ცოლსა?

შამილ. ოჰ, თუკი შენგან დასტური მექნება რა!
(გოცნას.)

ქაიხოსრო, ბმმ... ბმმ...

ქეთევან. ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ!.. კმარა, კარგია..., მალე
მობმანდი.

შამილ. ამ სართში, ესლავ დაკბრუნდები ჩემი თვალის
ჩინო (წავლენ და ისევ დაბრუნდებთან და ერთმანეტოს
ანაშნებენ.)

ქეთევან. ნახვამდინ.

შამილ. ამას იქითკი აღარ დავშორდებით ერთიერთ-
მანეტოს,

ქეთევან. თავის დღეში აღარ დავშორდებით, .. აბა,
წადით და რაღა (წავლენ კიდევ, შერე კიდევ დღეებთან
და ერთმანეტოს ეძახიან: მშჯლობით.)

კამოცხადება 4.

(ბუხრის ბანიდამ ისმის ვარხაღალო, და ამოსძვრება
ბუხრის მწმენდი.)

ქაიხოსრო. ბმ... ბმ...

ბუხარმწმენდი ნეტა რა ვქნა! ეს ვინ არის ბუხარის
ბანსუდ მიბმელი?

ქაიხობრო. ბმ... ბმ...

ბუხარმწმენდი. მოდი უშველი რაც გახდეს გახდეს! იქ-
ნება არ ეწეინოს, რომ უშველო! ბუხარმწმენდები ხომ
სულ გამბედავები ვართ და მოდი მას მეტ ცაკბედავ.
(აუშებს ბუხარდაშა) მოწყალეო კელწიიიეო, თქუწნ ეს-
ლა თაკისუფალი ბძანდებით. ნება მახოძეთ უმდაბლესი
მადლობა შოგახსენათ.

ქაიხობრო. მადლობა რაკედ უნდა მომახსენო?

ბუხარმწმენდი. იმასუდ, რომ მომეტით დაუფასებელი
შემთხვევა თქუწნსუდ ჩემიერ ვალის დადებისა.

ქაიხობრო. რას ბძანებთ! მე მაქუწ ვალი მადლობისა
ბუხარმწმენდი. ხომ არ გეწეინათ, რომ მე მომეტა
ბედნიერება თქუწნდა მსახურებისა?

ქაიხობრო. რას ბძანებთ?

ბუხარმწმენდი. ღმერთი გადღეგრძელებთ ნუ იწეენთ,
გთხოვთ დაივიწყოთ ჩემი დანაშაული. მე სრულებით
გულშიც არა მდებია, რომ თქუწნს წყენაში ჩაკარდნილ-
იყავ. და არც იმ ფიქრით გავწიე თქუწნი სამსახური
რომ თქუწნ გულში ჩაკვარდნოდან სასიამოვნო გრძ-
ნობა ვაღებულებისა და მადლობისა.

ქაიხობრო. რა ვქნა! სულ ვერა გამოგარა ამ ამბე-
ბისა?....

ბუხარმწმენდი. ჩემსუდ ვაკრს ნუ ჩაიდებთ გულში. მე
უმისოთაც საწყალი ვარ... თქუწნთუწ არ გახლავთ
გასაჭირი ჩემისთანა საწყალა ვარის გასადგურება, ბუ-

ხარმწებები ასე დამცრობილი და გასვრილი ხალხი ვართ, და რაღა თქვენნი რისხუა გუნდა.

ქაიხოსრო. რას ბძანებთ ნ:ტა?

ბუხარმწმენდი. მე ვიცი, რომ ყოველივე დავალება არის შესარაცხი სამკისხვლო წუქინება!... ვიცი ვგრძნობ, მე თითონაც არ მესმის თუ როგორ გავბედე თქვენნი შეხება... (იხიკებს) ღმერთი ვადღეუკრძკელებს მომიტეგეთ....

ქაიხოსრო. ხა დიდება შენთვის ღმერთო! კაცო რას სწუხარ, მე ძალიან მადლობ დაცა ვარ და....

ბუხარმწმენდი. მაშ თქვენ მე არ მიწყურებით?

ქაიხოსრო. რას ბძანებთ.

ბუხარმწმენდი. მოწყალო ჩემო, ნება მიბოძეთ ხელს გეამბოროთ! მე მეგონა რომ თქვენს თავის დღეში არ მომიტეგებდით.... ჩემი ბედი ეს არის, რომ დღეს თქვენს, მგონია ცოტა გადაკრული ბძანდებით.

ქაიხოსრო. ავი მოგახსენეთ! ესეც იმას იძახის! არა, თქვენ რა იცით, რომ მე მოკრალი ვარ?

ბუხარმწმენდი. ოღონდ ნუ შემრისხამთ და...

ქაიხოსრო. ეჭ! კარგი ერთი თუ ღმერთი გწამს, მე შენთვის არა მცალხან ! გასწი წადი აქედამა!

ბუხარმწმენდი. მივხვდი, მივხვდი.... ზი სწორეთ სუღკრძელი ვარ! (გავრდება).

ახა იფიქრე კარგათა: რაღა უნდა იყვი ამას იქით. რაღათ გინდა შენი ბებური თავი უმჯალოთ'... უნდა დარჩე მარტოაქელი მთაუწყებულა. გამაურუებელი კარგი! რა იქნება შე უბედურა?... ემნდა რაგორ ცრემლები მოგერიას თვალებში... ახა კიდევ კარგა დაფიქრდი რა საშინელებაა. .

კარაპეტ. (ცოვით) შენ ბებრნუთს ხომ არ ეწევი?

ქახოსრო. არა, არა ვსწევ! ჩაიქოლე შენცა და შენი ბებრნუთიცა?

კარაპეტ. მეტი რომ მქონდეს ესლა ბებრნუთი მოგწევდი: ისეთი მქმინება, რომ ფეხზედ ძლიესა ვსდგეკარ, რაღა ახლა დამაუწედა შინ კოლაოფი.

ქახოსრო. მოდი შენა და ამას ელაპარაკე! შენს ქალს ატაცებენ მეთქი, გადამღრძკალო! ისეთსა დაგატემინებ მე შენ ემაჯ ცხვრსა, რომ შენი ვაება ნავთლულს ისმოდეს!

კარაპეტ. ნუ ყვრი, მამა გიცხონდა!.. ხომ ხედავ, რომ წუხელის მთელი ღამე არა მძინებია ფიქრისაგანა. მე ერთი კარგი საქმე მოვიფიქრე, ერთი კარგი ღონისძიება ვიპოვე ასე, რომ მე შემოდლიან ვინც ჩემგანა ვაჭრობენ სავაჭროდამ ორი სასტკებელი მოუგლო და ეს დიდი ღუთის მადლობაა.

ქახოსრო. ერთი ამას უყუროს კაცმა!

კარაპეტ, ესლა სომხებისათნა ახალი ვაჭარი ჩქმყანასზედ აღარავინ არ არის, ჩქმნი ფიქრი მუდამ სულ ის არის, რომ რაგორმე იაფათ დაუსკათ მუშტარს სავაჭრო. ჩქმნი ხომ ჩქმნთუს არა ვსტრუნავთ, ჩქმნი

ზრუნვა სულ მუშტარია.

ქახოსრო. დიდება შენთვის ღმერთო!... მე გერაფერი გერა გამიგია... ეს რა უბედურებაა, ან მე შემტყვევს, ან ქუჩუანა გამოიცვალა... ერთი ეს მაინც მოთხარ: ან მე სადა ვარ და ან ვინა ვარ, ან შენა და ან ქუჩუანა?

კარაპეტ. როგორ თუ სადა ვართ? ტფლისში ვართ, სად უნდა ვიყენეთ!

ქახოსრო. მაშ ეს რაებია აქ?

